პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (73) აგვისტო 1956 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საკომლო წიგნების წარმოების მდგომარეობის შესახებ ყვარლის, მარნეულის და ვანის რაიონების სასოფლო საბჭოებში.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 5, 14[3], 122, 130 და 151 მუხლების ცვლილებების შესახებ.

4. ბრძანებულება ბორჯომის რაიონის დვირის სასოფლო საბჭოდან სოფლების ტაძრისის, დგვარის, საკირეს გამოყოფისა და ტაძრისის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

5. ბრძანებულება წალკის რაიონის კაბურის სასოფლო საბჭოდან სოფელ თეჯისის გამოყოფისა და ამავე რაიონის არჯევან-სარვანის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

6. ბრძანებულება ხაშურის რაიონის ღუდის სასოფლო საბჭოდან სოფლების დიდი თხინალას და პატარა თხინალას გამოყოფისა და ამავე რაიონის ხცისის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

7. ბრძანებულება ქუთაისის პირველი საშუალო სკოლისათვის ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელის მიკუთვნების შესახებ.

8. ბრძანებულება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

9. ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის რესპუბლიკურ სამინისტროდ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკურ სამინისტროდ.

13. ბრძანებულება ამხ. თ. ნ. დავითაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრის თანამდებობისაგან.

14. ბრძანებულება ამხ. თ. ნ. დავითაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრად.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ მრეწველობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

16. უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის მდგომარეობის შესახებ ზუგდიდის, მახარაძის, კასპის და ცაგერის რაიონებში.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ.

18. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საკომლო წიგნების წარმოების მდგომარეობის შესახებ ყვარლის, მარნეულის და ვანის რაიონების სასოფლო საბჭოებში

მოისმინა რა საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის ამხ. ა. ნ. ხაჩიძის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების უფროსის ამხ. ვ. ა. ქუჩუკაშვილის თანამოხსენება სასოფლო საბჭოებში საკომლო წიგნების წარმოების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც ეძლევა საკომლო წიგნებს როგორც საკომლო აღრიცხვის პირველად დოკუმენტებს, ეს საქმე არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. საკომლო წიგნების ჩანაწერები, რომელთა მიხედვით საფინანსო-საგადასახადო ორგანოები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების განსაზღვრას თვითეული კომლისათვის, ვერ ასახავენ ფაქტიურ მდგომარეობას დასაბეგრ ობიექტების შესახებ, რის გამოც ადგილი აქვს მოსახლეობაზე გადასახადების არასწორად შეწერის ფაქტებს

ასე, მაგალითად: ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის მცხოვრები გ. ი. ფიტიკაშვილი ფაქტიურად ფლობს 0,50 ჰექტარ მიწას, საკომლო წიგნით კი მასზე ირიცხებოდა მხოლოდ 0,29 ჰექტარი, რის გამოც იგი წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიდა თითქმის ორჯერ ნაკლებს ვიდრე მას კანონით ეკუთვნოდა. ამავე სოფლის მცხოვრებ პ. ი. გარსევანაშვილს საკომლო წიგნში აღრიცხული აქვს 0,75 ჰექტარი მიწის ფართობი, ადგილზე შემოწმებით კი დადგინდა, რომ მას უკავია 0,80 ჰექტარი, ამის გამო იგი სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდის 75 მანეთით ნაკლებს; ა. ა. ტურაშვილს საკომლო წიგნში მიწა აღრიცხული არა აქვს, ფაქტიურად კი მის სარგებლობაშია 0,75 ჰექტარი, სოფ. ენისელის მცხოვრებ ა. მატეოსიანს საკომლო წიგნში აღრიცხული აქვს, 0,10 ჰექტარი, ხოლო ადგილზე შემოწმებით დადასტურდა, რომ მის ფაქტიურ მფლობელობაშია 0,05 ჰექტარი, ამის შედეგად მოქალაქე მატეოსიანს შეწერილი აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 75 მანეთით მეტი, ვიდრე მას კანონით ეკუთვნის.

სასოფლო საბჭომ სოფელ ყვარლის მცხოვრებ გ. ი. დენტოშვილს, საკომლო წიგნში ღორები, ჯგუფის მიხედვით, სწორად არ ჩაუწერა, ამის გამო საგადასახადო ორგანომ მას შეაწერა 200 მანეთი, რომელიც შემდეგ ჩამოაწერეს როგორც უკანონოდ შეწერილი. ამავე სოფლის მცხოვრები ა. ს. ბეჟანიშვილი საკომლო წიგნში აღრიცხული იყო როგორც კოლმეურნე, რის შედეგად მას დაეკალა ხორცისა და კვერცხის სავალდებულო ჩაბარება; ფაქტიურად ის ეკუთვნის მოსამსახურეთა ჯგუფს და მასზე არ ვრცელდება სავალდებულო ჩაბარება.

საკომლო წიგნების წარმოებაში მნიშვნელოვანი შეცდომებია დაშვებული აგრეთვე მარნეულის რაიონის სასოფლო საბჭოებში, ამის შედეგად 1955 წელს რაიონული საბჭოს აღმასკომში შესული იყო მიწის ფართობის და სხვა ობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტების არასწორი აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უკანონოდ შეწერის გამო 750 განცხადება; აქედან 697 განმცხადებლის თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.

შულავრის სასოფლო საბჭოს სოფელ წითელსოფელში მცხოვრებ ს. ს. მირზოიანს, საკოლმეურნეო ზონარგაყრილ წიგნში უწერია 0,16 ჰექტარი მიწა, კოლმეურნეობის საერთო კრების 1952 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით მას გაუდიდდა მიწის ფართობი 0,25 ჰექტარამდე, ხოლო საკომლო წიგნში შესწორება არაა შეტანილი და ამ ხნის განმავლობაში იგი სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდის 0,16 ჰექტარის მიხედვით.

მსგავს შეცდომებს ადგილი აქვს ვანის რაიონის სასოფლო საბჭოებში, სადაც 29 კომლის ჩანაწერის შემოწმებიდან 12 კომლის ჩანაწერი არ ეთანხმებოდა ფაქტიურ მდგომარეობას.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნებში არა აქვს ჩაწერილი სწორი ცნობები ოჯახში რიცხული წევრების, წერაკითხვის ცოდნის, წლოვანებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, რის შედეგად სახალხო განათლების ორგანოებს არ ეძლევათ საშუალება საბჭოებიდან მიიღონ ზუსტი ცნობები სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობის შესახებ, ხოლო სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოები სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლებით აღრიცხვის დროს სარგებლობენ საკომლო წიგნებში უხარისხო და შეუმოწმებელი ჩანაწერებით.

საკომლო წიგნების წარმოების საქმეში ასევე არაა დაცული დაბადებულთა, გარდაცვლილებულთა, ოჯახიდან დროებით წასულთა და დაბრუნებულთა სწორი აღრიცხვა. მარნეულის რაიონში საკომლო წიგნებში აღრიცხულია და მიკუთვნებულია კოლმეურნეთა ჯგუფის ოჯახებზე ისეთი პირები, რომლებიც შრომით მონაწილეობას არ ღებულობენ კოლმეურნეობაში და წასული არიან ქალაქში მუდმივ საცხოვრებლად; ამავე რაიონში მუდმივი მცხოვრები—მუშა-მოსამსახურეები აღრიცხულია ცალკე საკომლო წიგნში; არ სწარმოებს აგრეთვე სოფელში დროებით მცხოვრებთა აღრიცხვა ფორმა ნომერ ორის მიხედვით და ყველა მეკომურეობისა—ალფაბეტური წიგნის მიხედვით.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებას აქცევენ საკომლო წიგნების წარმოების საქმეს, ხოლო რაიაღმასკომები არ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს სასოფლო საბჭოებს საკომლო წიგნების სწორად წარმოების საქმეში. ამავე დროს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს რაიონული ინსპექტორები, რომლებსაც ევალებათ ამ წიგნების წარმოების ხელმძღვანელობა და კონტროლი, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საკომლო წიგნების წარმოებას და არ ღებულობენ საკმაო ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

სასოფლო საბჭოებში საკომლო წიგნების წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შემდეგში საკომლო წიგნების სწორად წარმოების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასოფლო საბჭოებში საკომლო წიგნების ხარისხიანად წარმოებას და უზრუნველყონ ამ საქმის მაღალ დონეზე დაყენება, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შეამოწმონ ყველა სასოფლო საბჭოში საკომლო წიგნების წარმოების მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის;

ბ) ჩაატარონ სასოფლო საბჭოების მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები და უზრუნველყონ მათი მომზადება საკომლო წიგნების ხარისხიანად წარმოებისათვის;

გ) პერიოდულად აწარმოონ ცალკეულ სასოფლო საბჭოში საკომლო წიგნების შემოწმება და მიიღონ ქმედითი ზომები, რომ მათში ცნობების შეტანა სწარმოებდეს დროულად და ხარისხიანად; არ დაუშვან საკომლო წიგნების წარმოების წესების დარღვევა;

დ) ზუსტად დაიცვან დადგენილი წესი და უზრუნველყონ წლის დასაწყისში საკომლო წიგნების მთლიანი შემოწმება, წინა წელს ჩაწერილ ცნობების დაზუსტება კომლების კარდაკარ ჩამოვლით და მოსახლეობის დაკითხვით;

ე) თვალყური ადევნონ, რომ კოლმეურნეთა მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებები დროულად და ზუსტად იქნეს შეტანილი ზონარგაყრილ წიგნებში;

ვ) შეამოწმონ სასოფლო საბჭოებში საკომლო წიგნების დაცვის მდგომარეობა და მიიღონ ზომები, რომ მათი შენახვა ხდებოდეს ფულადი დოკუმენტებისა და ფასიანი ქაღალდების თანაბრად.

2. დავალოს საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსს ამხ. ა. ხაჩიძეს გააძლიეროს დახმარება და კონტროლი ადგილებზე საკომლო წიგნების წარმოების გაუმჯობესებისათვის, დროულად გამოავლინოს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და მიიღოს ზომები მათი აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 15 ივნისი.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

იმის გამო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 19 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად გაუქმებულია სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 1 დეკემბრის დადგენილება „ტეროორისტული აქტების მომზადების ან შესრულების საქმეთა წარმოების წესის შესახებ“ და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის 1 დეკემბრის და 1937 წლის 14 სექტემბრის დადგენილებანი, „მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ მომავალში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდექსის 58—7, 58—8, 58—9 და 58—11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის გამოძიებისას და სასამართლოში საქმეთა განხილვისას საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საქართველოს სს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიების წარმოების დროებითი წესებით.

2. გაუქმდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 26 ნოემბრის და 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ და „სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიების დროებითი წესების მე-7 მუხლის შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 12 თებერვლის ბრძანებულების რედაქციით ამ წესების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლებითაც დადგენილი იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58—7, 58—8, 58—9 და 58—11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლოში საქმეთა განხილვის განსაკუთრებული წესი. ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან მეშვიდე კარი 33 და 34 თავებით და 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 469 მუხლებით და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიების წარმოების დროებითი წესების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 15 ივნისი.

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 5, 14[1], 122, 130 და 151 მუხლების ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნას საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში შემდეგი ცვლილებები:

1- მე-5 მუხლი გამოიხატოს შემდეგნაირად:

„5. საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი.

შენიშვნა. სარაიონო და საქალაქო, აგრეთვე ქალაქის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცალკეულ შუამდგომლობებით შეამცირონ ქალებისათვის ამ მუხლში დაწესებული საქორწინო ასაკი, მაგრამ არა უმეტესი, ვიდრე ერთი წლისა“.

2. 14[1] მუხლი გამოიხატოს შემდეგნაირად:

„ 14[1]. ქორწინების რეგისტრაციის დროს მეუღლეებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ მათ სურთ იქონიონ ქმრის ან ცოლის გვარი, ანდა დაიტოვონ თავ-თავისი გვარი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 122 მუხლის 1 ნაწილი გამოიხატოს შემდეგნაირად:

„122. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებში გატარდება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტები დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების შესახებ, გაიცემა მოწმობები მოქმედ დავთრებში ჩაწერილი აქტების შესახებ".

4. 130 მუხლის მე-2 ნაწილი გამოიხატოს შემდეგნაირად: „ბავშვის დაბადების ფაქტი დადასტურებულ უნდა იქნას: ქალაქებში, დაბებში, სარაიონო ცენტრებში და იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც სამკურნალო პუნქტებია,— ექიმის მოწმობით, ხოლო სხვა ადგილებში—ორი მოწმის მიერ".

5. 151 მუხლის მე-2 ნაწილი გამოიხატოს შემდეგნაირად: „გარდაცვალების ფაქტი დადასტურებულ უნდა იქნას: ქალაქებში, დაბებში, სარაიონო ცენტრებში და იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც სამკურნალო პუნქტებია,— დადგენილი სახის საექიმო მოწმობით, ხოლო სხვა ადგილებში—ორი მოწმის მიერ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 15 ივნისი.

4. ბრძანებულება ბორჯომის რაიონის დვირის სასოფლო საბჭოდან სოფლების ტაძრისის, დგვარის, საკირეს გამოყოფისა და ტაძრისის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ბორჯომის რაიონის დვირის სასოფლო საბჭოს სოფლები ტაძრისი, დგვარი, საკირე და შეიქმნას ტაძრისის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 15 ივნისი.

5. ბრძანებულება წალკის რაიონის კაბურის სასოფლო საბჭოდან სოფელ თეჯისის გამოყოფისა და ამავე რაიონის არჯევან-სარვანის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს წალკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1956 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, გამოეყოს წალკის რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის კაბურის სასოფლო საბჭოს სოფელი თეჯისი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის არჯევან-სარვანის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 15 ივნისი.

6. ბრძანებულება ხაშურის რაიონის ღუდის სასოფლო საბჭოდან სოფლების დიდი თხინალას და პატარა თხინალას გამოყოფისა და ამავე რაიონის ხცისის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ხაშურის რაიონის ღუდის სასოფლო საბჭოს სოფლები დიდი თბინალა და პატარა თხინალა და მიეკუთვნონ ამავე რაიონის ხცისის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 15 ივნისი.

7. ბრძანებულება ქუთაისის პირველი საშუალო სკოლისათვის ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს ქუთაისის პირველ საშუალო სკოლას ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელი და ამიერიდან ეწოდოს „ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელობის ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 15 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბრძანებულება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

შესრულების მაღალმხატვრული ოსტატობისა და წარმატებითი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, რაც ხელს უწყობს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას, მიენიჭოს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 21 ივნისი.

9. ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დაარსებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

1. დოლიძეს ოლღა იასონის ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობს
2. კვანტალიანს აკაკი ლუკას-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

1. ბაგრატიონს ირაკლი (ჯანო) კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონსულტანტ-ქორეოგრაფს
2. გაბიჩვაძეს რევაზ კონდრატის-ძეს — კომპოზიტორს
3. ყიფიანს აპოლონ კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ხახანაშვილს გიორგი სიმონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირიჟორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. ბახტაძეს თამარ ლევის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს
2. გლეზერს რახილ ხარიტონის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმეისტერს
3. გოჩალეიშვილს აკაკი ვასილის-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
4. გუმბას რაჟდენ ჯგუტანის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
5. გუნიას ნონა ვალერიანის ასულს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეს
6. ერქომაიშვილს ანანია გიორგის-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
7. ვადაპკორია-შილდელს მერი გიორგის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს
8. თედეევს გიორგი სარდიონის-ძეს — ქორეოგრაფს
9. თედიაშვილს მარგო ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
10. იმერლიშვილს ელიაზარ ილიას-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სოლისტს
11. ინოველი—ინაშვილს ანტონ იოვის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობს
12. კეკელიას ვლადიმერ სარდიონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს
13. კობალაძეს ფატმა მურადის ასულს — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
14. კოვზირიძეს შალვა ვარლამის-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
15. მაკუტაძეს გაიანე სერგის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს
16. მიქავას აქვსენტი უტუს-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
17. ტატიშვილს ივანე დიმიტრის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სოლისტს
18. ტყაბლაძეს ლეონტი საბას-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს
19. ფხალაძეს იოსებ ანტონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სოლისტს
20. ფოცხვერაშვილს ნათელა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. შმუკლერს მიხეილ მარკის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს
22. ჯაფარიძეს ქეთო კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
956 წ. 21 ივნისი.

10. ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დაარსებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აგაბეკოვა ევგენია სამსონის ასული — კონცერტმეისტერი
2. არდიშვილი ნინო ვასილის ასული — კონცერტმეისტერი
3. ბალისევიჩ ლევან ივანეს-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე
4. ბერძენიშვილი ქეთევან გიორგის ასული — ანსამბლის მომღერალი
5. ბოგომოლოვა ნინო ივანეს ასული — მოლარე—ინკასატორი
6. გვაზავა ეთერი ალექსანდრეს ასული — მომღერალი
7. გოლუბევა ნინო ვასილის ასული — მომღერალი
8. გოკიელი ჯემალ ივანეს-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი
9. გოძიაშვილი მარეხი ილიას ასული — მომღერალი
10. გოხაძე სოფიო ალექსის ასული — მებილეთე-კონტროლიორი
11. დიდებულიძე ბერტა ადოლფის ასული — მომღერალი
12. ვაშაკიძე კირილე ალექსანდრეს-ძე — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ორკესტრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ზედგინიძე ნინო ვიაჩესლავის ასული — სალაპარაკო ჟანრის მსახიობი
14. ზლოტოლინსკაია მარიამ ნიკოლოზის ასული — მუსიკალური ნაწილის გამგე
15. ირემაშვილი მარიამ იოსების ასული — ანსამბლის მომღერალი
16. კიკნაძე ლუარსაბ ილიას-ძე — სცენის მუშა
17. კირილოვი გერმანე მიხეილის-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი
18. კუხალეიშვილი ნიკოლოზ ფარნაოზის-ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის აჭარის განყოფილების დირექტორი
19. ლივარდი თამარ ალექსანდრეს ასული — სალაპარაკო ჟანრის მსახიობი
20. მაისურაძე თამარ ანდრიას ასული — სალაპარაკო ჟანრის მსახიობი
21. მახარაძე ტატიანა ხარიტონის ასული — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ესტრადის მსახიობი
22. მარღანია ასტამურ ნიკოლოზის-ძე — აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი
23. მინდიაშვილი ვლადიმერ პავლეს-ძე — ესტრადის მსახიობი საკრავი ინსტრუმენტების იმიტაციის დარგში
24. მირცხულავა სულიკო ალექსანდრეს ასული — ანსამბლის მომღერალი
25. მოცაკიან გურგენ არუთინის-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი
26. მიქელაძე მიხეილ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი
27. პაპიტაშვილი ოთარ დავითის-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი
28. პონომარევი კონსტანტინე დავითის-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი
29. ჟილიაევი ანდრია ვასილის-ძე — ექსპედიტორი
30. რამიშვილი ალექსანდრე ფილიპეს-ძე — სალაპარაკო ჟანრის მსახიობი
31. საატსაზოვა ნინო ალექსანდრეს ასული — რწმუნებული კონცერტების მოწყობის საქმეში
32. საგანელიძე გედეონ როსტომის-ძე — სცენის მუშა
33. სარაჯიშვილი ავთანდილ ალექსის-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი
34. სარჯველაძე დავით გაბრიელის-ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქუთაისის განყოფილების დირექტორი
35. სიდოროვი — ვოროდისი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ესტრადის მსახიობი ორიგინალური ჟანრის დარგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. სიხარულიძე გარსევან ანდრიას-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი
37. ტატიშვილი ნინო ლეონიდეს ასული — სალაპარაკო ჟანრის მსახიობი
38. თათეიშვილი თინა გრიგოლის ასული — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი
39. ტროიან ალექსანდრა ივანეს ასული — უფროსი მებილეთე-კონტროლიორი
40. ურუშაძე ნიკოლოზ ირაკლის-ძე — მომღერალი
41. ფედოროვა ევგენია პავლეს ასული — ესტრადის მსახიობი ორიგინალური ჟანრის დარგში
42. ფოცხვერაშვილი ვალერიან ილარიონის-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი
43. ღვაბერიძე ნიკოლოზ გერასიმეს-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი
44. ყანჩაველი თამარ მელიტონის ასული — სპეცნაწილისა და კადრების დარგის მუშაკი
45. ჩიკვაიძე დავით ალექსანდრეს-ძე — ოპერატიული განყოფილების გამგე
46. ციცქიშვილი ნინო გიორგის ასული — მომღერალი
47. ჭუმბურიძე ივანე ირაკლის-ძე — სცენის მუშა
48. ხეცურიანი გურგენ იოსების-ძე — ანსამბლის მომღერალი
49. ჯანაშია გრიგოლ გიორგის-ძე — სცენის ინსპექტორი
50. ჯაფარიძე სტეფანე მელიტონის-ძე — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 21 ივნისი.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის რესპუბლიკურ სამინისტროდ

„სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 31 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნას საქართველოს სსრ იუსტიციის რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 21 ივლისი.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკურ სამინისტროდ

„სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 31 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო-ტრანსპორტის რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50, 55 და 56 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 21 ივლისი.

13. ბრძანებულება ამხ. თ. ნ. დავითაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე დავითაშვილი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 21 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ბრძანებულება ამხ. თ. ნ. დავითაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე დავითაშვილი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 21 ივლისი.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ მრეწველობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

შრომის ახალი მოწინავე მეთოდების გამოყენებისა და მუშათა ფართო წრეებში მათი გავრცელებისათვის, წარმოებაში ღირსშესანიშნავი რაციონალიზატორული წინადადებების შეტანისა და გამოგონებებისათვის, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აგაპოვი ანატოლი კაზიმირის-ძე — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხარატი — ჩქაროსანი
2. აკოფოვი მირდატ სარქისის-ძე — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი — ჩქაროსანი
3. ბაჭარაშვილი სოლომონ ალექსის-ძე — თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველოს მაღალვოლტიანი ლაბორატორიის ელექტრომონტიორი
4. ბაღდასაროვი მიხეილ ივანეს-ძე — ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალი
5. ბახტაძე ნიკოლოზ ისაკის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის გამყვანი ბრიგადის ბრიგადირი
6. ბეჟუაშვილი ვარლამ გრიგოლის-ძე — თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი — ელექტრიკოსი
7. ბოგვერაძე გრიგოლ ალექსის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ელექტრომავლის დეპოს მემანქანე
8. ბოლოთიშვილი ვლადიმერ ივანეს-ძე — „პლასტმასის“ ქარხნის მწნეხავი
9. ღანიაშვილი გულნარა სიმონის ასული — თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის მემანქანე
10. გელაშვილი ვაჟა ლუკას-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მექურე
11. გელაშვილი ზაქარია ვასილის-ძე — ლენინის სახელობის ავჭალის შუშის ქარხნის ნექანიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. გზირიშვილი არჩილ პეტრეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს უფროსი ოპერატორი

13. გლუხოვი სერგი თევდორეს-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 სამშენებლო ტრესტის მებათქაშე

14. დათაშვილი მიხეილ ნიკოლოზის-ძე — მეტეხის მშრალად წნეხის აგურის ქარხნის მეწნეხე-ამწყობი

15. დოღუზაშვილი გრიგოლ იოსების-ძე — კროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მხეზავი

16. ევდოკიმოვი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი

17. ზუბრიცკი პავლე პავლეს-ძე — კროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის ხარატი—ნოვატორი

18. კენკეშვილი ქეთევან ზაქარიას ასული — თბილისის სართავსატრიკოტაჟო კომბინატის ტილოს ხელოსანი

19. კოზირიძე ივანე კონსტანტინეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროსი მდნობელი

20. კოპაძე ივანე ალექსის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ხიდის ოსტატი

21. კოტიაშვილი ვასილ ნიკოლოზის-ძე — კასპის ცემენტის ქარხნის მემანქანე

22. კრაწაშვილი გიორგი იოსების-ძე — თბილისის მაუდკამოლის კომბინატის საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწე

23. ლაშხი გიორგი გერასიმეს-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სამმართველოს მონტაჟისტი

24. მირზოიანი გიორგი მკრტიჩის-ძე — ტრესტ „საქშახტმშენის“ ახალციხის № 2 სამშენებლო სამმართველოს შახტის გამყვანი

25. მიტროშინი ალექსანდრე თევდორეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის დისტანციის კავშირგაბმულობის ელექტრომექანიკოსი

26. მუხიგულაშვილი პავლე მიხეილის-ძე — თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის ბრიგადირი

27. მხეიძე ალექსანდრე ამბაკოს-ძე — საბურთალოს მშრალი წნეხის აგურის ქარხნის გამომწველი

28. ნადირაძე კარპეზ კონსტანტინეს-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ელექტრომბურღავი

29. ორჯონიკიძე ივანე სავლეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სტალინის სახელობის შახტის მნგრეველი

30. პავლოვი ვლადიმერ ვასილის-ძე — თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის მღარველი

31. პარასტაშვილი კუკური ვლადიმერის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. ჟუკოვი ეკატერინე ტერენტის ასული — თბილისის მაკარონის ფაბრიკის მეწებისა
33. რუხაძე თამარ იოსების ასული — — თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის მემანქანე
34. სოლომკო ევგენი დიმიტის-ძე — — თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის მექანიკოსი—მარეგულირებელი
35. სუხინი გაბრიელ პეტრეს-ძე — — ხარატი—ჩქაროსანი
36. სუხიშვილი ვლადიმერ თევდორეს-ძე — — ქ. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ზეინკალი
37. ფანცულაია ამირან სოლომონის-ძე — — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე
38. ფოფხაძე ტრიფონ ვარდენის-ძე — — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ამწმენდი
39. ფეიქრიშვილი ალექსანდრე ანტონის-ძე — — თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსი
40. ღოღობერიშვილი ნაზიკო ბესარიონის ასული — — თბილისის ხორცკომბინატის ძეხვეულის ნაწარმის საამქროს ბრიგადის ოსტატი
41. შარაბიძე სულიკო ზაქარიას ასული — — ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი
42. შიშინაშვილი გერონტი ისიდორეს-ძე — — თბილისის ავტოშემკეთებელი სახელოსნოს მეძარე
43. ჩანტლაძე სერგი ირაკლის-ძე — — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობ— — გადამმუშავებელი ქარხნის ოპერატორი
44. ძმანაშვილი ვლადიმერ სიკოს-ძე — — ზეინკალი
45. წიკლაური რუსუდან ალექსანდრეს ასული — — თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი-მოტორისტი
46. წიქარიძე ივანე ისაკის-ძე — — გორის ბამბეულის კომბინატის ოსტატის თანაშემწე
47. ჭუმბურიძე ილია დავითის-ძე — — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი—ნოვატორი
48. ხაზარაძე იოსებ გრიგოლის-ძე — — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა ყუთის საამქროს ამწყობი
49. ხორბალაძე ნიკოლოზ ესტატეს-ძე — — თბილისის ფანერის ქარხნის დურგალი
50. ჯინჯოლია ვლადიმერ ვასილის-ძე — — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 3 შახტის გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის და შვილად აყვანის მდგომარეობის შესახებ ზუგდიდის, მახარაძის, კასპის და ცაგერის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების მოვლა-პატრონობის საქმეს, რისთვისაც იხარჯება სათანადო თანხები. მიუხედავად ამისა ზუგდიდის, მახარაძის, კასპის და ცაგერის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, მათი სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები, აგრეთვე სასოფლო საბჭოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მდგომარეობას.

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მომწყობი კომისიები მახარაძის, კასპის და ცაგერის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი არ არის, ხოლო ზუგდიდის რაიონში აღნიშნული კომისია შექმნილია, მაგრამ არ მუშაობს. არ წარმოებს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა, არ ხდება პატრონირებულ ბავშვთა და მოზარდთა საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური შემოწმება, ნაკლები ყურადღება ექცევა პატრონაჟის ვადის გასვლის შემდეგ მოზარდთა საფაბრიკო—საქარხნო სწავლების სკოლებში და საწარმოებში მოწყობას, ამ საქმეში არ არიან გამოყენებული საბჭოების დეპუტატები და აქტივი.

რაიონული საბჭოების აღმასკომები არ სწავლობენ და არ იხილავენ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მდგომარეობის საკითხებს.

დაბა კასპში მცხოვრები სულიკო ნიკოლოზის-ძე ყაზარაშვილი და ომარ გიორგის-ძე ბერიძე უდედმამოდ არიან დარჩენილნი და უმეწო მდგომარეობაში იმყოფებიან. სადაბო საბჭოს და რაიაღმასკომის განათლების განყოფილებას არ შეუსწავლიათ ამ ბავშვების მდგომარეობა და არ უზრუნიათ მათი პატრონირებისათვის. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან სოფ. მეტეხში მცხოვრები მცირეწლოვანი გოდერძი და ზემფირა ტატანაშვილები და სოფელ ქვემო გომში მცხოვრები, სამამულო ომში დაღუპულის შვილი, ავთანდილ ორბელიშვილი.

ამავე რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. მაგალითად: იგოეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, კანონით გათვალისწინებული წესის მიუხედავად სოფ. სამთავისში მცხოვრებ ოთარ აბულაძის ოჯახის შემადგენლობიდან ამოწერა მცირეწლოვანი ელვარდ ოთარის-ძე აბულაძე და ჩაუწერა სკამლო წიგნში ნაშვილებად თავის პაპას.

ბავშვების შვილად აყვანის დოკუმენტებს არასწორად აფორმებენ აგრეთვე ზუგდიდის რაიაღმასკომის განათლების განყოფილებაში. სოფ. ნარაზენში მცხოვრებ ე. გ. ჟულდაკოვას განათლების განყოფილებამ გაუფორმა მცირეწლოვანი ვ. გ. კრავჩენკოს შვილად აყვანა, ისე, რომ არ ყოფილა შესწავლილი შვილად ამყვანის ოჯახური მდგომარეობა, გარდა ამისა საქმეში არ არის ცნობები მისი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის შესახებ. ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ ქ. ზუგდიდში მცხოვრებ ა. პ. მარინიჩევას, რომელსაც უკვე ყავდა შვილად აყვანილი უდედმამოდ დარჩენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირეწლოვანი ბავშვი, გაუფორმა ამ ბავშვის პატრონირება, რის შედეგიც დაც ის წლების განმავლობაში უკანონოდ იღებდა ყოველთვიურ ფულად დახმარებას.

ქ. ზუგდიდში მცხოვრებმა ი. შულაიამ ბოროტად გამოიყენა მასზე დაკისრებული მეურვეობა უდედმამოდ დარჩენილ ლ. ძ. პატარაიას მიმართ. ბავშვი ჯერ მიაბარა საბავშვო სახლში, შემდეგ კი გაუყიდა მას სახლი, დაუკარგა საოჯახო ნივთები და წლების მანძილზე ითვისებდა საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებულ შემოსავალს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას და რაიონის პროკურატურას ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და არ მიუღიათ საჭირო ზომები ბავშვის ინტერესების დასაცავად.

ცაგერის რაიონში ადგილი აქვს პატრონირებულ ბავშვებზე ყოველთვიური დახმარების 2—3 თვის დაგვიანებით გაცემის შემთხვევებს. გარდა ამისა განათლების განყოფილება უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის აღრიცხვას უპასუხისმგებლოდ ეკიდება და განათლების სამინისტროს უდგენს არასწორ ანგარიშებს. 1955 წლის 1 იანვრისათვის წარმოდგენილ ანგარიშში ირიცხებოდა 25 პატრონირებული ბავშვი, ფაქტიურად კი იყო 16, ხოლო მეურვეობაზე—72 ბავშვი და მოზარდი, სინამდვილეში კი მეურვეობა არც ერთი ბავშვის მიმართ არ იყო გაფორმებული.

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვების პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ზუგდიდის, მახარაძის, კასპის და ცაგერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მოკლე დროში გამოასწორონ ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და სერიოზული ყურადღება მიაქციონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებისადმი ზედამხედველობას, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეისწავლონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მოსახლეობაში ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ბავშვთა პატრონირების მნიშვნელობისა და აგრეთვე იმ ოჯახების უფლება-მოვალეობის შესახებ, რომლებმაც ბავშვთა პატრონობა იკისრეს;

ბ) ჩაატარონ საინსტრუქტაჟო თათბირები განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეების, საბჭოების თავმჯდომარეებისა და იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ მზრუნველობა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე;

გ) უზრუნველყონ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების ზუსტი აღრიცხვა და მათზე სისტემატური ზედამხედველობა, ამ საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოების დეპუტატები, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების მუდმივი კომისიები და აქტივი;

დ) მტკიცედ დაიცვან უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის და შვილად აყვანის დადგენილი წესები და უზრუნველყონ შვილად ამყვანის, ან მეურვის პირადი და ოჯახური მდგომარეობის წინასწარი შესწავლა;

ე) მიაღწიონ იმას, რომ უდედმამოდ დარჩენილი ყველა ბავშვი მოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი იქნას აღსაზრდელად ან საბავშვო სახლში, ან მშრომელთა ოჯახებში პატრონირების, მეურვეობის, ან შვილად აყვანის წესით, ხოლო პატრონირების ვადის გასვლის შემდეგ მოაწყონ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში სამუშაოდ;

3) თვალყური ადევნონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების ვადაზე გაცემას და მათი აღზრდისათვის მობმარებას, არ დაუშვან ბავშვთა ქონების მითვისება და განიავება;

ზ) კასპის, მახარაძის და ცაგერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დაუყოვნებლივ შექმნან უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მომწყობი კომისიები და უზრუნველყონ მათი მუშაობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. გ. ნ. ჯიბლაძეს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე მზრუნველობის განხორციელების საქმეში, პერიოდულად შეამოწმონ ამ საქმის მდგომარეობა და უზრუნველყონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა უზრუნველყოფის საკითხი და მიაღწიონ იმას, რომ ეს საქმე დაყენებული იქნას სათანადო სიმაღლეზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 3 აგვისტო.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაერთიანდეს სახალხო სასამართლოები საქართველოს სსრ რაიონებსა და ქალაქებში, რომელთა ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედებს ორი ან მეტი უბნის სახალხო სასამართლო, რაიონის (ქალაქის) ერთიან სახალხო სასამართლოდ. დაწესდეს, რომ ამ ქალაქებსა და რაიონებში სახალხო სასამართლო შედგება სახალხო სასამართლოს თავმჯდომარისაგან, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისაგან, რომლებიც მოიწვევიან სასამართლო საქმეთა განხილვაში მონაწილეობისათვის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 12 და 14 მუხლების შესაბამისად.

2. ამ ბრძანებულების 1 მუხლის შესაბამისად შექმნილი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას მშრომელთა დეპუტატების რაიონული

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საქალაქო) საბჭო დააკისრებს რაიონის (ქალაქის) ერთერთ სახალხო მოსამართლეს, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებულ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის წარდგენით, შესაბამისად.

3. რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულებას მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დააკისრებს ერთერთ სახალხო მოსამართლეს, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის წარდგენით, შესაბამისად.

4. რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოში, რომლის შემადგენლობაში არის ორი ან მეტი სახალხო მოსამართლე, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ეკისრება, სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულებასთან ერთად, სახალხო სასამართლოს მუშაობის ორგანიზაცია და საქმეების განაწილება სახალხო მოსამართლეებს შორის.

5. სახალხო მოსამართლეებს და სახალხო მსაჯულებს აირჩევენ რაიონის (ქალაქის) მოქალაქეები ცალ-ცალკე სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა სიებით, რომლებიც ერთიანია მთელი რაიონისათვის (ქალაქისათვის).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 3 აგვისტო.

18. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 8 აგვისტო.